

ყავისფერი - Zimtfarbene Böden

ყავისფერი ნიადაგები პირველად მსოფლიოში აღწერილი იყო საქართველოში ს. ზახაროვის მიერ 1904 წელს. საქართველოში საერთო ფართობი შეადგენს 229.830ჰა (3,4 %). გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში სუბტროპიკული ტყე-სტეპის ზონაში ძირითადად ზღვის დონიდან 500 - 1300 მ ფარგლებში. მათი ქვედა საზღვარი ესაზღვრება მდელოს-ყავისფერ, რუს-ყავისფერ და შავ (ბარის შავმოწები), ხოლო ზედა - ყომრალ ნიადაგებს. ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება მეკეთრად გამოხატული პროფილის ფერადი დიფერენციაციით, არაჩამრეცი წყლის რეჟიმის პირობებში ნიადაგური სიზრქის ნათლად გამოხატული გათიხების პროცესით. ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ შემდეგი აგებულება აქვს: A-B(ca)-BCca (BCca)-Cca. ეს ნიადაგები გამოირჩევა ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი-ყომრალი ან ყავისფერი შეფერილობით, წვრილ-კოშტოვანი ან მარცვლოვანი სტრუქტურით, სუსტი ტუტე ან ნეიტრალური რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, გაკარბონატებით, თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობით, გათიხებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,10-1,38 ფარგლებში, შთანთქმის მაღალი და საშუალო ტევადობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) ან ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია შთანთქმული ფოსფორით და გაცვლითი კალიუმით. არსებობს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის საშიშროება.

Zuerst wurden zimtfarbene Böden weltweit in Georgien von Zakharov im Jahre 1904 beschrieben. Man findet sie auf 2.298,3 qkm (3,4% Georgiens). Sie sind verbreitet in der subtropischen Waldsteppenzone des Ostteils von Georgien, hauptsächlich von 500m bis zu 1300m. Ihre untere Grenze bilden die zimtfarbenen Wiesenböden, die grauen zimtfarbenen Böden und schwarzen Böden, aber ihre obere Grenze bilden braune Waldböden. Zimtfarbene Böden sind charakterisiert durch ein klar geprägtes Profil, gut ausgebildete Tonanreicherung im Bodenprofil bei einem nicht feuchten Wasserregime. Das Bodenprofil hat oft folgenden Aufbau: A-B(ca)-BC(ca)-(BCca)-Cca. Zimtfarbene Böden sind von anderen zu unterscheiden durch eine dunkel braune oder braune Farbe des Humushorizonts, durch eine subpolyedrische - oder Einzelkornstruktur, durch eine schwach alkalische oder neutrale Reaktion, einen durchschnittlichen Gehalt an Humus, karbonatisch, durch eine lehmig oder tonige Textur, Tonanreicherung, einen hohen Gehalt an hygroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,10-1,38 g/ccm, eine hohe oder mäßige Absorptionskapazität. Die Böden sind schwach bis mäßig versorgt mit hydrolysierbarem Stickstoff, sind schwach versorgt mit mobilem Phosphor und austauschbarem Kalium. Es existiert die Gefahr der Wasser- und Winderosion.

